



საქართველოს სასამართლო სისტემის გადახალისება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: მეტი დემოკრატია თუ მართლმსაჯულების იმიჯის გამოსწორება

სასამართლო საქართველოში ტრადიციულად ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ინსტიტუტად ითვლება, რომელთან კავშირსაც ყველა გაურბის. ამიტომაც, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროიდან მოყოლებული დღემდე სასამართლო ხელისუფლების რეფორმა მთავრობის დღის წესრიგში დგას. სასამართლოს მიმართ საზოგადოების უნდობლობა გარკვეულ ტრადიციად იქცა. საბჭოთა მმართველობისა და მისი მარიონეტული სასამართლოს პირობებში გატარებული ათწლეულების შემდეგ დამოუკიდებლობის პირველმა წლებმა ქვეყანა ქაოსსა და სამოქალაქო ომში გაახვია, რამაც სასამართლოსა და მოსამართლის მიმართ ნდობის გამყარებას ნაკლებად შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს სფეროში რეფორმები 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მიმდინარეობს, ამ სფეროში მნიშვნელოვანი შედეგები ჯერ კიდევ მისაღწევია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს საზოგადოებას ჯერ კიდევ უნდა ალუღგეს იმის რწმენა, რომ მოსამართლეები მიკერძოებული ინტერესებისა და ზეგავლენისგან თავისუფალი არიან და სამართლიანად შეუძლიათ მართლმსაჯულების აღსრულება.

საქართველოში ახლახან ჩატარებული ამომრჩევლთა გამოკითხვის¹ შედეგების მიხედვით, საზოგადოება მიაჩნევს, რომ სასამართლო ეკონომიკის შემდეგ მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც რეფორმას საჭიროებს. გამოკითხულთა ოცდაორი პროცენტის აზრით, სასამართლო რეფორმა ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამომრჩევლთა 16 და 15 პროცენტი კი თვლის, რომ ეს, შესაბამისად, მეორე და მესამე ხარისხის პრიორიტეტული საკითხია. 2006 წელს ჩატარებულმა იმავე გამოკითხვამ აჩვენა, რომ ეკონომიკის შემდეგ სასამართლო რეფორმის საჭიროების წინაშე მდგარ მეორე სფეროდ დასახელდა. 2006 წელს გამოკითხულთა 16 პროცენტმა სასამართლო რეფორმა ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად, ხოლო 17 და 14 პროცენტმა, შესაბამისად, მეორე და მესამე ხარისხის პრიორიტეტად დაასახელა. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო ბოლო ადგილზეა ინსტიტუციონალური ნდობის ჩამონათვალში და მის შესახებ 2007 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 23 პროცენტს აქვს დადებითი აზრი, 64 პროცენტი კი სასამართლოს მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. საზოგადოებრივი ნდობა კიდევ უფრო შემცირებულია გასულ წელთან შედარებით, როცა 34 პროცენტი სასამართლოს მიმართ დადებითად იყო განწყობილი, 50 პროცენტი - კი უარყოფითად.

საქართველოსთან სასამართლო რეფორმის სფეროში ევროკავშირის თანამშრომლობა EUJUST-Themis პროექტის ფარგლებში რეფორმების დაწყების დროიდან მიმდინარეობს. ევროკავშირის-საქართველოს ურთიერთობების ახლანდელი ჩარჩო, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაც (ENP AP) ამ სფეროში რეფორმის განხორციელების საჭიროებას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება მოიცავს ნაბიჯებს, რომლებიც კანონის უზენაესობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს „ევროპული სტანდარტების, კერძოდ, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის მიხედვით, მთლიანად სასამართლო სისტემის“ რეფორმა. წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ერთ-ერთ ასპექტს - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს² შემოღებას. წარსულში განხორციელებული რეფორმების და დღევანდელი მდგომარეობის მოკლე ანალიზის შემდეგ ანგარიში განიხილავს წარმოდგენილ პროექტს (რომელიც პარლამენტში უკვე მეორე მოსმენას³ ელოდება) და აღწერს სამართლებრივ წრეებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ არსებულ სხვადასხვა მოსაზრებებს.

¹ საქართველოს ამომრჩევლთა ეროვნული გამოკითხვა, 2007 წლის თებერვალი. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

² ნაფიც მსაჯულების სასამართლოს შემოღების საკანონმდებლო საფუძველი 2004 წელს კონსტიტუციაში ცვლილებებით მომზადდა. კონსტიტუციის 82.5 მუხლში საუბარია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ, რომლის კომპეტენციასა და პროცედურებს კანონი დაადგენს.

³ კოდექსის პროექტს მეორე მოსმენით პარლამენტი მიმდინარე საშემოდგომო სესიაზე განიხილავს.



საქართველოს სასამართლო სისტემის მდგომარეობა – მიღებული მემკვიდრეობა

სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმა პირველად პრეზიდენტ შევარდნაძის დროს დაიწყო. 1998 წელს მკაცრი გამოცდების ჩატარების შემდეგ მოსამართლეთა მთელი კორპუსის გათავისუფლებითა და ახალი მოსამართლეების დანიშვნით შევარდნაძემ დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვა. ამ რევოლუციური ცვლილების განხორციელება, რომელიც უპრეცედენტო იყო მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, დღევანდელი პრეზიდენტის, სააკაშვილის დამსახურებად ითვლება, რომელსაც იმ დროისათვის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარისა და შემდგომში იუსტიციის მინისტრის თანამდებობა ეკავა.

თავდაპირველი ოპტიმიზმის შემდეგ, როგორც ჩანს, რეფორმატორების ძალისხმევა თანდათან განელდა. ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მიკერძოებული გადაწყვეტილებების შესახებ. ახლადდანიშნული მოსამართლეების კეთილსინდისიერება ასევე ხშირად იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. როგორც ჩანს, გამოცდების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ობიექტურობისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას სტატისტიკური მონაცემებიც ამართლებს: როგორც წესი გამოცდებს კონკურსის მონაწილეთა საშუალოდ 10-დან 15 პროცენტი აბარებდა წარმატებით, მაგრამ ორი წლის მონაცემები ამ ტენდენციას აშკარად არ ემთხვევა. 1999 წელს გამოცდებში წარმატებულთა წილი 41% იყო, ხოლო 2003 წელს - 90%-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებული არაფერია, არსებობს ეჭვები, რომ ტესტების მკაცრად დალუქვის და გამოცდების დღემდე მათი სათანადოდ შენახვის პროცედურა დაცული არ ყოფილა. არსებობს ეჭვები, რომ ტესტების შინაარსი წინასწარვე იყო ცნობილი.⁴ შემდგომში სასამართლო კორუფციის მისამართით გამოთქმული ხშირი კრიტიკის შედეგად ხელისუფლების ამ შტოს მიმართ საზოგადოების ისედაც დაბალი ნდობის ხარისხი კიდევ უფრო შემცირდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კორუფციის თემაზე კრიტიკა მოსამართლეთა თავისუფლების შეზღუდვის შესახებ კრიტიკამ შეცვალა. კრიტიკოსთა განცხადებებით, მოსამართლეები კანონისა და თავიანთი დისკრეციის მიხედვით გადაწყვეტილებების მიღებაში იზღუდებიან. ამ არგუმენტის მიხედვით, მოსამართლეები აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას განიცდიან, რომ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რაც პროკურატურის პოზიციას ემთხვევა. გავრცელებული ინფორმაციით, 2003 წლის შემდეგ ასევე მნიშვნელოვნად იზრდება უკანონო ჩარევის შემთხვევათა რიცხვი. თუმცა, ოპონენტების მტკიცებით სასამართლო სტატისტიკა ასეთი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ისინი აცხადებენ, რომ მოსამართლეების მიერ დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილების დონე საკმაოდ მაღალია და უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ პროკურატურა სასამართლო ხელისუფლებაზე მაღლა დგას. მაგრამ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მაჩვენებლები საკმაოდ დაბალი რჩება. საზოგადოების დამოკიდებულება განსაკუთრებით გაამწვავა სასამართლოს ქმედებამ რამდენიმე განმაურებული საქმის განხილვისას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების რწმენით ბრალი მოსამართლეებს მიუძღვით, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევებში მოსამართლეები უფრო მსხვერპლნი გახდნენ, ვიდრე დამნაშავეები. მისი თქმით, მოსამართლეებმა განაჩენი იმ მტკიცებულებების მიხედვით გამოიტანეს, რომელიც სასამართლოს წარედგინა და მათ არ ჰქონდათ იმაზე გავლენა მტკიცებულებები სრულად და ამომწურავად იქნებოდა წარდგენილი თუ არა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს „ურჩი მოსამართლეების“ შემთხვევა. 2003 წლის ნოემბერში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლების სათავეში ახალგაზრდა რეფორმატორები მოვიდნენ, რომლებმაც შევარდნაძის დროს არსებულ კანონდარღვევათა აღკვეთის პირობა დადეს. ეს ძირითადად ფართოდ გავრცელებული კორუფციის შემცირებას და სახელმწიფო დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირებას და სახელმწიფოს მხრიდან მომსახურების უზრუნველყოფას გულისხმობდა. ხალხის უდიდესი მხარდაჭერის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული მთავრობა ამ ამოცანების შესრულებას შეუდგა, თუმცა არა ყოველთვის ბოლომდე ლეგიტიმური გზებით. გამოცხადდა სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია და

⁴ მოსიაშვილი მაია, CIRC, „გამოცდები: მაღალი სტანდარტები საქართველოს მოსამართლეების გამოწვევა“. განთავსებულია ვებ-გვერდზე: <http://www.circ.ge/news.php?lan=en&newsid=EEuZukEVZkzEPvtYHh&pageid=newsletter>



ქვემდგომი სასამართლოების ბევრი მოსამართლე თანამდებობიდან გათავისუფლდა. გარდა ამისა, ქვემდგომი სასამართლოების რამდენიმე მოსამართლე კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის ბრალდებებით სამსახურიდან გაათავისუფლეს. გათავისუფლებული მოსამართლეები ახალმა კადრებმა ჩაანაცვლეს, რომლებსაც გაცილებით უფრო მაღალი ხელფასები⁵ და სხვა სოციალური გარანტიები დაენიშნათ.

ასეთი ცვლილებებისგან დაცული არც უზენაესი სასამართლო აღმოჩნდა, თუმცა რეორგანიზაცია მას ოფიციალურად არ უნდა შეხებოდა. გათავისუფლებული მოსამართლეებისთვის კორუფციაში მონაწილეობის ბრალდებები ოფიციალურად არ წაუყენებიათ, მაგრამ იმ მოსამართლეებს, რომლებიც 2005 წლის 31 დეკემბრამდე თანამდებობებს ნებაყოფლობით დატოვებდნენ, სახელმწიფომ გულუხვი პენსია (საქართველოს სტანდარტებით) –1000 ლარიანი ხელფასის⁶ ექვივალენტი შესთავაზა. რამდენიმე მოსამართლე თანამდებობიდან გადადგა, სხვებმა კი მთავრობის მხრიდან ზეწოლის⁷ შესახებ საჯაროდ დაიწყეს საუბარი. ამ „ურჩ მოსამართლეებს“, როგორც მათ ქართულმა მედიამ უწოდა, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დისციპლინარული სასჯელი შეუფარდეს და თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. დისციპლინარული სასჯელის პრაქტიკა და შესაბამისი კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული დევნის შესახებ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების კრიტიკის საგანი გახდა. ევროპის საბჭოს კომისიამ დემოკრატიისათვის სამართლის საშუალებით (ვენეციის კომისია) საჯაროდ განაცხადა, რომ აღნიშნული კანონის მუხლები „რეალურ საფრთხეს უქმნის სასამართლო ხელისუფლებას და, ზოგადად, კანონის უზენაესობას“.⁸

მოსამართლეთა ნახევრად-კანონიერი გზით გათავისუფლებასთან ერთად, უნდობლობის გარემო კიდევ უფრო გაამწვავა რამდენიმე განმაურებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა. ეს საქმეები მუდმივად შექცებოდა მედიის საშუალებით და პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და ფართო საზოგადოების დიდი დაინტერესების საგანი გახდა. სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ბევრი არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ მოსამართლეებზე ზეწოლა მოახდინა. ამ საქმეებს განეკუთვნება ახალგაზრდა მამაკაცის, სანდრო გირგვლიანის საქმე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობით მოკლეს; ასევე მოზარდის, რობაქიძის საქმე, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მოკლეს; ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ბათიაშვილის საქმე, რომელსაც სავარაუდო აჯანყების „ინტელექტუალურ მხარდაჭერაში“ ეღება ბრალი და სხვა საქმეები, რომლებიც სასამართლოს საზოგადოებრივ იმიჯს ლახავს.⁹

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება აღნიშნულმა საქმეებმა და ასევე სასამართლო სფეროში მიმდინარე რეფორმების და მისი ყოველდღიური მუშაობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების წარუმატებელმა მცდელობებმა განაპირობა. სასამართლოს დაბალი რეპუტაცია ძირითადად იმას ბრალდება, რომ საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ რამდენიმე განმაურებულ საქმეზე დაყრდნობით ყალიბდება, თუმცა არც სასამართლოს და არც მთავრობის წარმომადგენლებს უნდობლობის კრიზისის გადასაჭრელად აქამდე არავითარი ქმედითი ზომები არ მიუღიათ.

გამოსავალი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?

⁵ ხელფასები პირველად 2004 წელს, თითქმის სამჯერ გაიზარდა. მას შემდეგ მოსამართლეთა ხელფასები თითქმის ყოველწლიურად (ბოლოს 2007 წელს) მატულობს.

⁶ ამჟამად 1 აშშ დოლარი 1.68 ლარის ეკვივალენტია. უზენაესი სასამართლოს ახლანდელი მოსამართლეების ანაზღაურება ამ თანხას სამჯერ აღემატება.

⁷ „მოსამართლეები ზეწოლის შესახებ საუბრობენ“, თეა გულარიძე, Civil Georgia, 2005 წლის 8 დეკემბერი; <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11305>

⁸ ვენეციის კომისიის დასკვნა №408/2006, სტრასბურგი, 2007 წლის 19 მარტი, [http://www.venice.coe.int/docs/2007/CDL-AD\(2007\)009-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2007/CDL-AD(2007)009-e.asp)

⁹ ერთ-ერთი მინისტრი, გოგა ხაინდრავა გირგვლიანის საქმის გამოძიების შესახებ ღიად გამოთქმული კრიტიკის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მოგვიანებით ის ოპოზიციას შეუერთდა.



მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის აუცილებლობის გათვალისწინებით, მთავრობამ ცვლილებების განხორციელება სასამართლოებიდან დაიწყო, რაც სასამართლოების რიცხვის შემცირებითა და მათი იურისდიქციის გეოგრაფიული ზონების გაფართოებით, მაგისტრატი მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღებით, სასამართლოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და სასამართლო სისტემისთვის გამოყოფილი თანხების გაზრდით გამოიხატა. დაიწყო მოსამართლეთა მუდმივი გადაამზადება და დამკვიდრდა სასამართლო სპეციალიზაციის პრაქტიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კი საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მცდელობაა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 9 ივლისის №549 განკარგულებით მოწონებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია. 2006 წლის ივნისში დაამტკიცდა სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სასამართლოების, ადმინისტრაციულ დარღვევათა კანონმდებლობის, პოლიციის, იურიდიული დახმარების, პენიტენციური სისტემის, პროკურატურის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, იურიდიული განათლების და ომბუდსმენის ინსტიტუტის რეფორმირების დეტალურ სახელმძღვანელოს. აღნიშნულ საკითხთაგან სასამართლოს შესახებ საზოგადოების წარმოდგენაზე საკარაუდოდ ყველაზე დიდ გავლენას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები, კერძოდ კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოახდენს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების ყველა ფორმას შორის ტრადიციულად ყველაზე დემოკრატიულად ითვლება. ბრალდებულს მისივე თანასწორი რიგითი მოქალაქეები (ერთი მოსამართლისაგან განსხვავებით) განსჯიან. მის ბრალეულობას ან უდანაშაულობას ჩვეულებრივი ადამიანები გადაწყვეტენ, რომლებსაც ამისათვის სპეციალური განათლება არ აქვთ მიღებული. ეს სისტემა ეფუძნება რწმენას, რომ საზოგადოებას კარგად აქვს გათავისებული მართლმსაჯულების არსი და მას შეუძლია, და ვალდებულია კიდეც, თავისი თანამემამულე სახელმწიფოს უსამართლო ძალადობისგან დაიცვას. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას ბრალდებულისთვის განაჩენი არ გამოაქვს. ეს უკანასკნელი მოსამართლის პრეროგატივად რჩება. და მაინც, მოსამართლეს ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებისთვის რაიმე სახით წინააღმდეგობის გაწევის უფლება არ აქვს. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, როგორც წესი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კასაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

ნაფიც მსაჯულთა სისტემის უპირატესობების მიუხედავად, საერთაშორისო დონეზე რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება არსებობს. ჯერ ერთი, ეს სისტემა ჩვენთვის ტრადიციულ სასამართლო სისტემაზე უფრო ძვირია. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, როგორც წესი, 12 წევრისგან შედგება, რომელთა მიუკერძოებლობა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესის შედეგად დგინდება¹⁰. პოტენციური ნაფიცი მსაჯულები ჩვეულებრივ იმ რეგიონის ამომრჩეველთა სიებიდან შეირჩევიან, რომელიც ამ სასამართლოს იურისდიქციაში შედის. ამომრჩეველთა სიების, როგორც პირველადი წყაროს გამოყენება უზრუნველყოფს, რომ ნაფიცი მსაჯულები იყვნენ სრულწლოვანი ადამიანები, რომლებიც თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას მეტნაკლებად სერიოზულად უდგებიან. შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შედგენილი სია შესაძლო პირადი ინტერესების თავიდან აცილების მიზნით მოწმდება და იცხრილება. ნაფიცი მსაჯულები უნდა იყვნენ მიუკერძოებლები და არ უნდა გააჩნდეთ განსახილველი საქმის შესახებ წინასწარი მოსაზრებები. იდეალურ შემთხვევაში, დანაშაულის და მისი გარემოებების შესახებ მედიაში ან საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებების შესახებ მათ არაფერი უნდა იცოდნენ. უფრო მეტიც, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება მათი სამართლიანი განსჯის უნარს დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს. სწორედ ამ მიზეზით, იურისტები და სასულიერო პირები ნაფიც მსაჯულთა მოვალეობისგან თავისუფლდებიან. მათ შესაძლოა არა მხოლოდ წინასწარი შეხედულებები ჰქონდეთ, არამედ ასევე შესაძლებელია, განზრახ ან შემთხვევით, სხვებზეც მოახდინონ გავლენა. ხანგრძლივი და ძვირადღირებული შერჩევის პროცესის შემდეგ, გაწეული სამსახურისათვის სახელმწიფომ ნაფიცი მსაჯულები ანაზღაურებით (ჩვეულებრივ მინიმალური თანხით) და სასამართლო პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებულ მდგომარეობაში შესაბამისი საცხოვრებლთა და საკვებით უნდა უზრუნველყოს. ეს ხარჯები კი, როგორც წესი, აღემატება ტრადიციულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ თანხებს.

¹⁰ თუმცა, შერჩევის პროცედურა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და, შესაბამისად, პროცედურის ხანგრძლივობაც და სირთულაც სხვადასხვაგვარია.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინააღმდეგ კიდევ ერთი არგუმენტი კომპეტენციას ეხება. ბევრი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი საქმე მეტისმეტად რთულია იმისათვის, რომ რიგითმა მოქალაქეებმა გადაწყვიტონ. ასეთი მოსაზრებები განსაკუთრებით მწვავედ გამოითქმება ისეთი საქმეების მიმართ, როგორცაა ფულის გათეთრება და სხვა ფინანსური ხასიათის დანაშაული, ასევე სისხლის სამართლის დანაშაული, რომელშიც მეტად მეცნიერული და კომპლექსური მტკიცებულებები ფიგურირებს. კრიტიკოსები მიუთითებენ სპეციალისტის განათლებისა და გამოცდილების საჭიროების შესახებ, რომელიც მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოსამართლეებს შეიძლება მოეთხოვებოდეს. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი სახის რთული საქმეები ძალიან იშვიათია და საქმეთა უმეტესობისთვის არაკომპეტენტურობის არგუმენტი მნიშვნელობას კარგავს. ამას გარდა, ყოველთვის არსებობს საშუალება, მოიწვიო კონკრეტული საკითხის ექსპერტ-სპეციალისტი რომ ნაფიც მსაჯულთა წინაშე ჩვენება მისცეს და განმარტოს გაუგებარი საკითხები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი საკითხები არა მხოლოდ მსაჯულთათვის, არამედ მოსამართლეთათვისაც შეიძლება ძნელად გასაგები იყოს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საუკუნეების ისტორიას ითვლის, თუმცა ძირითადად ანგლო-ამერიკულ სამყაროში. ის ტრადიციულად უცხოა კონტინენტური სამართლის სისტემის, მათ შორის საქართველოსთვისაც. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის, თავისუფლების ინსტიტუტის განცხადებით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ადრეული ფორმები საქართველოში ისტორიულად არსებობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. ეს ინსტიტუტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) კონსტიტუციაში იყო ჩადებული, თუმცა აღნიშნული კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს, საბჭოთა ოკუპაციამდე მხოლოდ სამი დღით ადრე მიიღეს. დოკუმენტი ფაქტობრივად არასდროს შესულა ძალაში. თუმცა, როგორც თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი აღნიშნავს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რეალურად 1919 წელს მიღებული კანონის საფუძველზე მუშაობდა და ეს ემიგრირებული მთავრობის წევრებისა და დაკავშირებული პირების მეშვეობითა და არქივებით დასტურდება. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ნაფიც მსაჯულთა სისტემის ფორმალურად არსებობის შესახებ მხოლოდ ისტორიკოსებისა და იურისტების პროფესიულ წრეებშია ცნობილი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრაქტიკა, განსაკუთრებით კი საქართველოში მისი ფუნქციონირების დეტალები, საზოგადოებისთვის ფაქტობრივად უცნობია. ის წარმოდგენილია კი რაც არსებობს, ხშირად ჰოლოგრაფის ფილმების შთაბეჭდილებებია.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არსებობა ოფიციალურად კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-5 პუნქტში 2004 წლის თებერვლიდან გაფორმდა. მას შემდეგ მზადდება ამ მუხლის ამოქმედების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ყველა აუცილებელი მოსამზადებელი ნაბიჯი 2007 წლის აპრილამდე უნდა გადადგმულიყო და ამ დროისათვის სისტემა უკვე ფუნქციონირებადი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმის (ჩ) მიხედვით, აღნიშნული ვადები გაგრძელდა. სამოქმედო გეგმის (რომელიც წელიწადში ერთხელ გადაიხედება) უახლესი ვერსიის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების იურისდიქციის განსაზღვრის ბოლო ვადა 2007 წელია და 2007-2008 წლებში სისტემა უკვე უნდა ამოქმედდეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ერთ თავს შეიცავს, 2006 წლის ზაფხულისთვის (სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროისათვის) უკვე მეტნაკლებად დასრულებული სახით არსებობდა. შემდგომი, უფრო დახვეწილი ვარიანტი პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე გავიდა და ამჯერად მეორე მოსმენას ელოდება, როცა მისი მუხლობრივი განხილვა მოხდება. სამოქმედო გეგმა რეფორმის წარმართვის და კანონპროექტის მომზადების პასუხისმგებლობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს¹¹ და უზენაეს

¹¹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის (თავი 9, მუხლი 60) მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იუსტიციის სისტემის თვითმმართველი ორგანოა და მოსამართლეების დისციპლინირების უმაღლესი ინსტანცია. საბჭოს შემადგენლობაში 15 წევრი შედის: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე *ეს ოფიციალ* წევრები არიან. ორი წევრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, სამ წევრს კი პარლამენტი საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს. რვა წევრი, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას წარმოადგენს, აირჩევა მოსამართლეთა საერთო ყრილობის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. უზენაესი



სასამართლოს აკისრებს. ასევე ხაზგასმულია პარლამენტის როლი, რადგან სწორედ ეს ორგანო განსაზღვრავს კანონის საბოლოო ფორმას და შესაბამისად დაამტკიცებს მას. თუმცა, როგორც ჩანს, რეალურად პროცესში ყველაზე აქტიურად ჩართული ორგანო გენერალური პროკურატურა იყო, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენს. ამ დასკვნის გამოსატანად თუნდაც პროცესში ჩართული უწყებების, უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, პროკურატურის და იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდებზე¹² თვალის შევლელაც საკმარისია. უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდებზე მხოლოდ დაგეგმილი სასამართლო რეფორმების მოკლე აღწერილობაა მოცემული. სტრატეგიის დოკუმენტები ან კოდექსის პროექტი ვებ-გვერდზე განთავსებული არ არის. იუსტიციის სამინისტროს გვერდზე გამოქვეყნებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და მოკლე აღწერილობასთან ერთად სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. პროკურატურის ვებ-გვერდი კი სხვებთან შედარებით ყველაზე მეტ ინფორმაციას შეიცავს. ზემოთ ხსენებული დოკუმენტების გარდა, ამ უკანასკნელის ვებ-გვერდზე განთავსებულია კოდექსის პროექტი (2006 წლის ვერსია) განმარტებით ბარათთან ერთად. პარლამენტის ვებ-გვერდზე სიახლეების განყოფილებაში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ნახსენებია 2006 წლის ნოემბერში კოდექსის პროექტის ძირითადი პრინციპების ირგვლივ გამართული განხილვები და პროექტის პირველი თავის უფრო დეტალური განხილვა 2007 წლის მაისში.

ნაფიცი მსაჯულები

კოდექსის პროექტის არსებული ვერსია, რომელშიც საპარლამენტო მოსმენების შემდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯერ კიდევ შევიდეს, ადგენს 12 წევრისგან შემდგარ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის. თუმცა, დანაშაულის სიმძიმეიდან გამომდინარე, შესაძლოა ნაფიცი მსაჯულების რიცხვი 8, 10 ან 12 პირით განისაზღვრებოდეს. ასევე შეიძლება ორი სათადარიგო მსაჯული, რომლებიც მთელ პროცესს უნდა ესწრებოდნენ, მაგრამ მათ არ აქვთ ნაფიც მსაჯულთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება მანამ, სანამ ძირითადი მსაჯულების ადგილის დაკავებას არ მოსთხოვენ. რთული საქმეების მოსმენის დროს, როცა მაღალია მსაჯულთა შეცვლის ალბათობა, მოსამართლეს შეუძლია სათადარიგო სიაში უფრო მეტი მსაჯული შეიყვანოს.

ნაფიცი მსაჯული შეიძლება გახდეს მხოლოდ რეგისტრირებული ამომრჩეველი, რომელიც ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება იმ სასამართლოს იურისდიქცია, რომელიც შესაბამის საქმეს განიხილავს. მოქალაქე ასევე უნდა ფლობდეს იმ ენას, რომელზეც წარმართება სასამართლო პროცესი. პირები, რომელთაც ისეთი გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვების აქვთ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას, თავისუფლდებიან მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან. სხვა გამონაკლისებს განეკუთვნებიან სახელიმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს (პოლიციის) თანამშრომლები, დამხმარე პერსონალი, სასულიერო პირები, პირები, რომლებიც განსაზღვრული საქმის მონაწილე მხარეს წარმოადგენენ, განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ან ბრალდებული, რომლის რეაბილიტაციაც არ მომხდარა, სასამართლო პროცესზე მსჯავრდებულების სტატუსით გამოსული პირები; პირები, რომელთა მსაჯულობა იქნებოდა აშკარად უსამართლო პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან გამოცდილების გამო; ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და იურისტები. მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვს მოითხოვოს აცილება, თუ ის უკვე იყო მსაჯული ერთი წლის განმავლობაში, ან მის მის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობამ შეიძლება დიდი ზიანის მომტანი შედეგი გამოიწვიოს; მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი; ის იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ ან აპირებს დიდი ხნით ქვეყნის დატოვებას; მისი ასაკი აღემატება 70 წელს.

სასამართლოს თავმჯდომარე თავმჯდომარეობს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსაც. საბჭოს წევრები უნდა იყონ არანაკლებ 25 წლისა და ჰქონდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება (იურისტის დიპლომი).
¹² ვებ-გვერდების მისამართებია: უზენაესი სასამართლო - www.supremecourt.ge, იუსტიციის უმაღლესი საბჭო - <http://coj.convert.ge>, იუსტიციის სამინისტრო - www.justice.gov.ge, გენერალური პროკურატურა - www.pog.gov.ge, საქართველოს პარლამენტი - www.parliament.ge. აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ქართულ ენაზე ვებ-გვერდების ქართულ ვერსიაზე. ინფორმაცია მოპოვებულია 2007 წლის 25 მაისს.



მსაჯულები შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ამომრჩეველთა სიებიდან შეირჩევიან, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ თითოეული წლის I მარტამდე უნდა წარმოადგინოს. მსაჯულობის ას კანდიდატს გამოიძახებენ გასაუბრებაზე, რომლის განმავლობაშიც საქმის წარმმართველი მოსამართლე აწვდის მათ მოკლე ინფორმაციას საქმის და შესაბამისი კანონების შესახებ. მხარეებს ასევე შეუძლიათ კანდიდატებისთვის შეკითხვების დასმა. მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტავენ საქმეში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობას. მათ გასაუბრებას უტარებს მოსამართლე. მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვების დასმის უფლება აქვთ ასევე პროკურატურისა და დაცვის მხარის წარმომადგენლებს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლემ შესაძლოა მოითხოვოს მისთვის შეკითხვების წერილობითი ფორმით წინასწარ წარდგენა. დასაბუთებული მიზეზის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ დააყენონ შუამდგომლობა მსაჯულებისთვის აცილების თაობაზე. ორივე მხარეს აქვს დაუსაბუთებელი აცილების უფლება. თუ დანაშაული ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარეს აქვთ თითოეულს 12 დაუსაბუთებელი აცილების უფლება. სხვა სახის დანაშაულის შემთხვევებში დასაშვებია 6 დაუსაბუთებელი აცილება. თუ სისხლის სამართალწარმოება რამდენიმე პირის წინააღმდეგ მიმდინარეობს, მაშინ თითოეულ ბრალდებულს აქვს 3 აცილების განხორციელების უფლება. ამასთან, თუ რომელიმე განსასჯელი არ გამოიყენებს მისთვის მინიჭებული დაუსაბუთებელი აცილების უფლებას, სხვა განსასჯელებს შეუძლიათ გამოიყენონ იგი. ყველა შემთხვევაში, ბრალდების მხარეს იმდენივე აცილების გამოყენების უფლება აქვს, რაც ყველა განსასჯელს ერთად. დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაციის საფუძველი რასის, ეთნიკური წარმოშობის, სქესის, რწმენის თუ სხვა ნიადაგზე. თუ გათვალისწინებული პროცედურების დაცვის შემდეგ, დარჩენილი კანდიდატების რაოდენობა თოთხმეტზე ნაკლებია, მოსამართლე გადადებს სხდომას და მოიწვევს დამატებით 50 კანდიდატს. თუ მსაჯული ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, დაარღვევს კანონს ან იმოქმედებს მიკერძოებულად, ის დათხოვნილი/დისკვალიფიცირებული იქნება სასამართლო პროცესიდან. ასეთ შემთხვევებში გათავისუფლებულ მსაჯულს სათადარიგო მსაჯული ანაცვლებს. სათადარიგო მსაჯულთა სიის სრულად ამოწურვის შემთხვევაში, თუ მსაჯულთა რიცხვი კანონით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებია, მოსამართლე თავიდან იწყებს შერჩევის პროცესს და საქმის მოსმენას.

შერჩევის შემდეგ, მსაჯულები საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავმჯდომარეს. ეს უკანასკნელი უძღვება ნაფიც მსაჯულთა თათბირებს, მსაჯულთა სახელით მიმართავს მოსამართლეს წერილობითი კითხვებით, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე აცხადებს მას. ფიცის დადების შემდეგ მსაჯული ვალდებულია ესწრებოდეს საქმესთან დაკავშირებულ ყველა სასამართლო სხდომას. განაჩენის გამოტანამდე, მსაჯულებს არ აქვთ საქმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ან მასთან დაკავშირებით პირადი აზრის გამოთქმის უფლება. მსაჯულები ვალდებული არიან დაიცვან მსაჯულთა თათბირის და კენჭისყრის საიდუმლოება. მათ არ აქვთ განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლოს გარდა სხვა პირებთან ურთიერთობის და სასამართლო სხდომის ფარგლებს გარეთ ინფორმაციის მოძიების უფლება. ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მსაჯული თავისუფლება ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან და მის ადგილს სათადარიგო მსაჯული იკავებს. მსაჯულებს აქვთ უფლება წერილობითი ფორმით მოითხოვონ ინფორმაცია შესაბამისი კანონების, საქმესთან დაკავშირებული გარემოებების, მტკიცებულებების და ა.შ. შესახებ. მსაჯულებმა ასევე შეიძლება მოითხოვონ სასამართლო სხდომის ოქმის ასლი. მტკიცებულების დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილებას მოსამართლე ერთპიროვნულად, ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად იღებს. მსაჯულებს უნდა ეცნობოთ საპროცესო გარიგების შესახებ, თუ ის კავშირშია განსახილველი საქმის გარემოებებთან. მსაჯულებს არ აქვთ ინფორმაცია განსასჯელთა დანაშაულებრივი წარსულის შესახებ, თუ ეს პირდაპირ არ უკავშირდება განსახილველ საქმეში წაყენებულ ბრალდებებს. მსაჯულებს არ მიეწოდებათ ის მტკიცებულებები, რაც არ უკავშირდება დანაშაულის დადგენას, რაც შეიძლება მხოლოდ სასჯელის სიმძიმის დასადგენად იქნას გამოყენებული.

მოსამართლე განუმარტავს მსაჯულებს ბრალდების, მისი სამართლებრივი საფუძვლის და მტკიცებულებების შესახებ. მოსამართლე ასევე განუმარტავს მსაჯულებს უდანაშაულობის პრეზუმციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი დაუსაბუთებელი ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. მსაჯულებს უფლება აქვთ სხომების მიმდინარეობის დროს გააკეთონ ჩანაწერები და გამოიყენონ ისინი თათბირისას. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ვერდიქტი გამოაქვს



მხოლოდ სხდომებზე წარმოდგენილ მტკიცებულებზე დაყრდნობით. ვერდიქტი არ შეიძლება ეფუძნებოდეს ვარაუდებს ან მტკიცებულებებს, რომლებიც საქმეში არ იყო დაშვებული, ან სასამართლოს ფარგლებს გარეთ არსებულ მტკიცებულებებს.

ნაფიც მსაჯულთა ჟიური თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ვერდიქტს იღებს კონსენსუსით. თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიური ექვსი საათის განმავლობაში ვერ მიაღწევს კონსენსუსს ყველა საკითხთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს ჩაატაროს კენჭისყრა უმრავლესობის პრინციპით (კანონპროექტში ჯერ-ჯერობით განსაზღვრული არ არის უმრავლესობის პრინციპით კენჭისყრის პირობები, რადგან მასში ჯერ-ჯერობით ორი მოდელია მოცემული). მსაჯულები ჯერ კენჭს უყრიან ყველა წაყენებულ ბრალდებაზე განსასჯელის უდანაშაულოდ ცნობის საკითხს. თუ ვერდიქტზე შეთანხმება არ მოხდა, ცალ-ცალკე ეყრება კენჭი თითოეული ბრალდების მიხედვით ბრალეულობის საკითხს, ბრალდებების ზრდადი სიმძიმის მიხედვით. თითოეულ ბრალდებაზე მსაჯულებმა ხელი უნდა მოაწერონ მხოლოდ გამამტყუნებელ ან გამამართლებელ ვერდიქტს.

სასამართლო მითითების გაცემის შემდეგ, მსაჯულები სათათბირო ოთახში იკრიბებიან. არავის აქვს უფლება იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში მსაჯულებისა და სათადარიგო მსაჯულების გარდა ან რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ვერდიქტზე. ნაფიცი მსაჯულები ხმას აძლევენ ნაფიც მსაჯულთა სიაში მათი რიგითობის მიხედვით. ნაფიც მსაჯულს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. კენჭისყრის ბოლოს ხმას აძლევს და შედეგებს აჯამებს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავმჯდომარე.

თუ თათბირის პროცესში მსაჯულთა ერთი მესამედი ჩათვლის, რომ საჭიროა დამატებითი განმარტებები კანონთან, მოსამართლის მითითებებთან ან წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ან მოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს (მათ შორის, დანაშაულის ადგილის დათვალიერების უფლებას), ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავმჯდომარე მოსამართლეს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას და შესაბამის კითხვებს. მოსამართლემ შეიძლება დანიშნოს დამატებითი სხდომა ყველა მხარისთვის მსაჯულების მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებების გამოსაკვლევად. მტკიცებულებების განხილვის შემდეგ მხარეები მართავენ ხანმოკლე განხილვას და აკეთებენ საბოლოო განცხადებებს. ამის შემდეგ მსაჯულთა თათბირი ჩვეულ რეჟიმში გრძელდება. ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ ასევე შეიძლება გამართოს წინასწარი თათბირი მოსმენების დროს (მოსამართლის გადაწყვეტილებით, მხარეთა მოთხოვნით ან მსაჯულთა ერთი მესამედის მოთხოვნით), მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მათ სხდომის დასრულების შემდეგ უნდა მიიღონ.

ნაფიც მსაჯულთა ჟიური გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ფაქტებზე და არა კანონზე. ეს უკანასკნელი მოსამართლის პრეროგატივას წარმოადგენს. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში მსაჯულებმა შეიძლება ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია ბრალეულობის ხარისხის შესახებ. ვერდიქტის მიღების შემდეგ მსაჯულები უბრუნდებიან სასამართლო დარბაზს და მას მოსამართლეს წარუდგენენ. მოსამართლე ამოწმებს სხვადასხვა ბრალდებასთან დაკავშირებით ყველა ვერდიქტის ფორმას გადაწყვეტილებების შესაბამისობის დასადგენად. თუ მოსამართლე ვერდიქტის ფორმებს შორის შეუსაბამობებს აღმოაჩენს, მსაჯულები შეცდომის გამოსასწორებლად სათათბირო ოთახს უბრუნდებიან. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კასაცია შესაძლებელია მხოლოდ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში. გამართლებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, მოსამართლეს კი სამი დღის ვადაში გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიური ბრალდებულს დამნაშავედ სცნობს, მოსამართლე სასჯელის ზომის დასადგენად დაუყოვნებლივ ნიშნავს სასამართლო სხდომის თარიღს. სხდომა ერთი კვირის ვადაში უნდა შედგეს. მოსამართლეს არ აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს მსაჯულთა ვერდიქტში ან იმ რეკომენდაციებში, რომლებიც სასჯელის შემსუბუქებას ითვალისწინებს. თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიური სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციით გამოდის, მოსამართლეს არ აქვს უფლება ბრალდებულს კანონით დადგენილი სასჯელის მაქსიმუმის ორ მესამედზე მეტი შეუფარდოს. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ სასჯელის დამძიმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსამართლეს არ აქვს უფლება ბრალდებულს კანონით დადგენილი სასჯელის მაქსიმუმის ორ მესამედზე ნაკლები შეუფარდოს. თუ არც ბრალდების და არც დაცვის მხარე წინააღმდეგი არ არის, ნაფიც მსაჯულთა ჟიური ესწრება სასამართლო სხდომას, რომლის დროსაც დგინდება სასჯელის ზომა. მოსამართლეს არ ასაბუთებს განაჩენს, გარდა სასჯელის ნაწილისა.



თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიური სათათბირო ოთახში მესამედ დაბრუნების შემდეგაც ვერ მიაწევს ურთიერთშეთანხმებას ვერდიქტზე, მოსამართლე ათავისუფლებს ნაფიც მსაჯულებს და ნიშნავს ახალი მსაჯულების შერჩევის თარიღს. თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ახალი შემადგენლობის შემთხვევაშიც იგივე განმეორდა, მოსამართლე ათავისუფლებს მსაჯულებს და იღებს ბრალდებულის გამამართლებელ განაჩენს.

კანონპროექტში მკაცრად არის განსაზღვრული კასაციის საფუძვლები. კასაცია დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება მტკიცებულებების საქმეში დასაშვებობასთან დაკავშირებით, დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს, ან დაეყრდნო კანონის დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს. საკასაციო წესით განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს ასევე, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ ნაფიც მსაჯულთა განაჩენი მიღწეულ იქნა მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევით, ნაფიცი მსაჯულების მოქრთამვის, დაშინების ან სხვა ფორმის ზეწოლით. საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იწყება საქმის ხელახალი განხილვა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობით.

მოსალოდნელი შედეგები და წინააღმდეგობები

საქართველოს სამართლებრივ წრეებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. თუმცა, ყველა მიიჩნევს, რომ ეს ინიციატივა შესაძლოა საქართველოს სასამართლო სისტემის იმიჯის გამოცოცხლების მცდელობა იყოს. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრების თანახმად, უნდობლობა უცოდინრობით, ამ შემთხვევაში კი სასამართლო სისტემის ფუნქციონირების უცოდინრობით არის გამოწვეული. ამიტომ ფართო საზოგადოების ჩართვა სასამართლოს საქმიანობაში ამ ინსტიტუტის უკეთ გაგებასა და მის მიმართ ნდობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. როცა რიგითი მოქალაქეები სასამართლო სისტემის მუშაობაში ჩაერთვებიან და გადაწყვეტილების მიმღების რანგში უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას მის საქმიანობაში, მათ უკეთ შეეძლება სასამართლოს ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურად განსჯა. ამასთან, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულება მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, ჩაერთოს არა მხოლოდ კანონშემოქმედებაში (მის მიერ არჩეული პარლამენტის საშუალებით), არამედ კანონების აღსრულებაშიც. მიუხედავად ამისა, ყველა არ არის დარწმუნებული, რომ ეს შეიძლება უნდობლობის პრობლემის პანაცეა აღმოჩნდეს.

სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების განცხადებით, ყველაზე პრობლემატური ისაა, რომ საზოგადოება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის ჯერ მზად არ არის. ამ მოსაზრების თანახმად, ქართულ საზოგადოებას ასეთი სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტრადიცია არ გააჩნია. საზოგადოებას არც ამ ინსტიტუტის შინაარსი ესმის კარგად. უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ნინო გვენეტაძე აღნიშნავს, რომ სამართლებრივი მართლშეგნება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა საქართველოში საკმაოდ დაბალია. მისი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობებია. თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ იზიარებს. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიორგი მელაძე მიიჩნევს, რომ ასეთი დამოკიდებულება საკმაოდ დისკრიმინაციულია და კითხვის ნიშნის ქვეს აყენებს არა მარტო ზოგადად სამართლებრივ თვითშეგნებას, არამედ რიგითი მოქალაქის საღად განსჯის და სრულყოფილი ინტელექტუალური შესაძლებლობების უნარს.

ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღების სასარგებლოდ ხშირად სახელდება რუსეთის გამოცდილება. როგორც ამბობენ, რუსული საზოგადოება დღევანდელ ქართულ საზოგადოებაზე მეტად არ ყოფილა მომზადებული, როცა 1993 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღეს¹³. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი საქართველოში მეთიუ რეგერი აღნიშნავს, რომ ამ სისტემის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ამუშავდება იგი პრაქტიკულად. მან

¹³ რუსეთში იმპერიის დროს არსებობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრაქტიკა, 1864 წლიდან 1917 წლის რევოლუციამდე. ეს სისტემა რუსეთში ხელახლა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1993 წელს შემოიღეს და აქ გაკეთებული კომენტარები სწორედ ახალ სისტემას შეეხება.



შეიძლება ხელი შეუშალოს ან, პირიქით, ხელი შეუწყოს სასამართლოს მიმართ ნდობის გამყარებას. თუ ყველა წესი და პროცედურა სამართლიანად იქნება დაცული, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმატების მიღწევის უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება. მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქართული კულტურის ნაწილი არ არის, ისე როგორც მაგალითად, ამერიკაში, მან საქართველოშიც შეიძლება კარგად იმუშაოს. საბოლოო ჯამში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში შეიძლება არ ჰგავდეს რომელიმე სხვა სისტემას და, სავარაუდოდ, მას დამკვიდრებისათვის გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ ამ სისტემის შემოღების მომავლისთვის გადადება გამოსავალი არ არის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ყოველთვის ნაადრევად ჩაითვლება, სანამ მისი ამოქმედების პირველი მცდელობა არ განხორციელდება და იმის მიუხედავად, თუ რა პირობებში დაიწყება მისი ფუნქციონირება, მას ყოველთვის დასჭირდება დახვეწა.

ერთი პრობლემა, რომელიც ახალი სისტემის შემოღებით შეიძლება წარმოიშვას, შეეხება სინამდვილეში როგორ იქნებიან შერჩეულები პოტენციური ნაფიცი მსაჯულები. თუმცა გასაუბრების პროცედურა კანდიდატებით მანიპულირებისა და მათი წინასწარ განწყობისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული, ლევან რამიშვილი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი შეგნებასა და კეთილსინდისიერებასთანაა დაკავშირებული. მაინც, მას მიაჩნია, რომ მსაჯულები მოსამართლეებზე უკეთესები როგორც მინიმუმ ერთი საკითხის გამო იქნებიან – მსაჯულები თავისუფლები იქნებიან დაუშვებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებული წინასწარ განწყობისაგან. როგორც ნაფიცი მსაჯულების, ისე ახლა არსებული სასამართლო სისტემის პირობებში მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებს მოსამართლე წევრებს. თუმცა, არსებული სისტემის პირობებში, როცა ისინი არიან ერთადერთი გადაწყვეტილების მიმღებნი, ისინი შესაძლოა, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, დაუშვებელი მტკიცებულებების გავლენას განიცდიდნენ. ნაფიცი მსაჯულები ამგვარი განწყობისაგან დაცულები არიან, რადგან მათ მხოლოდ ის მტკიცებულებები წარედგინება, რაც მანამდე, მათი დასწრების ან ჩარევის გარეშე, მოსამართლემ უკვე მიიჩნია დასაშვებად. ეს კი, რა თქმა უნდა, ქართული სასამართლოს მიუკერძოებლობასა და გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ახალი სისტემისთვის მზადყოფნის შესახებ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ყველა მიიჩნევს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ეფექტურად ამოქმედებისათვის მის შესახებ საზოგადოება კარგად უნდა იყოს ინფორმირებული. ეს კი უბრალო საზოგადოებრივი ინფორმაციის კამპანიაზე გარდა გაცილებით მეტს მოითხოვს. ახალი კოდექსი მთლიანად ცვლის სასამართლოების და მასთან დაკავშირებული პროფესიების საქმიანობის წესს. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, უკვე ჩატარდა 600 პროკურორის გადამზადებისა და დამატებით 30 პროკურორის მწვრთნელად მომზადების პროგრამა. მაგრამ სხვა წამყვანი უწყებები თანამშრომლების გადამზადების საკითხში შედარებით ნელი აღმოჩნდნენ. სპეციალური მომზადება დასჭირდებათ მოსამართლეებსა და ადვოკატებს, ასევე გარკვეულწილად შესაცვლელი იქნება უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაც.

კადრების მომზადების აუცილებლობის მიუხედავად, ჯერ-ჯერობით არც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და არც უზენაეს სასამართლოს არ დაუსახავთ კონკრეტული გეგმები ახალ სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეების გადამზადების მიზნით. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადეს ჩვენს თხოვნაზე, დაეფიქსირებინათ პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ჯერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინტერვიუს კითხვების წერილობით გაგზავნა სთხოვეს, მოგვიანებით კი შეგვატყობინეს, რომ არც იუსტიციის უმაღლესი საბჭო და არც უზენაესი სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ზოგადად კანონპროექტის და, კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ კომენტარის გაკეთებას. მათი პოზიცია განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს, რადგან სწორედ ამ ორგანოებს ეკისრებათ კოდექსის კანონპროექტის შემუშავებისა და მომზადების პასუხისმგებლობა (ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად მაინც, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამოქმედო გეგმისა და ანტი-კორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით). ამ ინსტიტუტების მხრიდან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილის არქონამ, შეიძლება, სერიოზული ეჭვები წარმოშვას იმის თაობაზე, თუ რამდენად შეუძლიათ მათ იმავე მიზნებისათვის ეფექტური საზოგადოებრივი ინფორმაციისა და საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა.

იურისტებისა და მოსამართლეების შესაბამისი მომზადების აუცილებლობის შესახებ ყველა მხარე ხაზგასმით აღნიშნავს. უმეტესობა ეყრდნობა იმ აზრს, რომ კოდექსის პროექტში წარმოდგენილი



ახალი სისტემა ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც დღემდე ქართული სამართლებრივი სისტემისთვის უცხო იყო. გარდა ამისა, ინკვიზიციური (კონტინენტური) სამართლის სისტემისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ადვოკატები არამარტო სამართლის სფეროს პროფესიონალები, არამედ ეფექტური მოსაუბრეები და კარგი ორატორები უნდა იყონ. ამის მიღწევა კი მხოლოდ გადამზადების (ტრენინგებისა) და პრაქტიკის შედეგად იქნება შესაძლებელი.

გიორგი მელაძე იურიდიული პროფესიის თვალსაზრისით არსებული პრობლემების შესახებაც საუბრობს. მისი განცხადებით, იურიდიული განათლების დონე და ექსპერტიზა, განსაკუთრებით კი სისხლის სამართალში, საქართველოში საგანგაშოდ დაბალია და აუცილებელია ფართომასშტაბიანი ცვლილების განხორციელება. ალბათ აქაც სასარგებლო იქნებოდა რუსული გამოცდილების გათვალისწინება: ბევრის მტკიცებით, არსებული პრობლემების მიუხედავად, რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას შედეგად უფრო მკაცრი და სამართლიანი სასამართლო პროცესები მოჰყვა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, წარსულში მოსამართლეებთან შედარებით, ნაფიცი მსაჯულები პროკურორებისა და ადვოკატებისგან უფრო მაღალი პროფესიული სტანდარტების დაკმაყოფილებას მოითხოვენ.¹⁴ ამასთან, ნაფიცი მსაჯულები საყოველთაოდ ცნობილი არიან როგორც უფრო მიმტკეველნი, ვიდრე მოსამართლეები, და ამ აზრს სტატისტიკაც ადასტურებს.¹⁵ ეს, ბევრის აზრით, შესაძლოა ქართული სასამართლოების მერ შემამუშოთებლად მცირე რაოდენობის გამამართლებელი განაჩენების გამოტანის პრაქტიკის შეცვლისაკენ გადადგმული ნაბიჯი გახდეს.

ყველა არ იზიარებს იმ აზრს, რომ ტრადიციულ სასამართლოებთან შედარებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შეცდომის დაშვების უფრო მაღალი რისკი არსებობს. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ აღნიშნავენ, რომ ნაფიცი მსაჯულის როლი ფაქტების შეფასება და ბრალეულობის განსაზღვრა და არა სასჯელის გამოტანა. ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა მოითხოვს მხოლოდ საღად განსჯის უნარს და კეთილსინდისიერებას და არა რაიმე სახის სპეციალურ იურიდიულ განათლებას. ისინიც კი, ვინც სხვადასხვა მიზეზით ბოლომდე არ ეთანხმება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღებას, აცხადებენ, რომ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ იყონ და, იქნებიან კიდევ, მოსამართლეებზე უფრო სამართლიანები და სანდონი. ამ მოსაზრების ასახსნელად რამდენიმე არგუმენტი მოჰყავთ.

პირველი, ნაფიცი მსაჯულები სახელმწიფოს მიერ დაქირავებული მოხელეები არ არიან. მოსამართლეებისგან განსხვავებით, ისინი სახელმწიფოს კეთილ ნებაზე არ არიან დამოკიდებული. ამიტომ, მიიჩნევა, რომ მათზე ზეგავლენის მოხდენა უფრო რთულია. მოსამართლეები ზეწოლისა და ზეგავლენის ქვეშ უფრო ადვილად შეიძლება მოექცნენ, განსაკუთრებით, თუ მათ წარსულში კანონისთვის ერთხელ მაინც აქვთ გადახვეული. მოსამართლე, რომელსაც თავად უსარგებლია კანონის მანიპულირებით, თვითონაც იოლად მართვადია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახლო წარსულში საკმაოდ იოლად შეცვალეს ან დასაჯეს ის მოსამართლეები, რომელთა მოსაზრებებიც ხელისუფლების, განსაკუთრებით კი მთავრობის პოზიციას ეწინააღმდეგებოდა. ნაფიც მსაჯულებს კი, პირიქით, უკანონო ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევით დასაკარგი ნაკლები აქვთ. სახელმწიფო საქართველოში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი უკვე აღარ არის. ასე რომ ალბათობა, რომ ნაფიცი მსაჯული სახელმწიფოს მიერ იქნება დაქირავებული, შემცირებულია. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, თუ სამთავრობო სტრუქტურებში თანამშრომელთა მრავალრიცხოვან შემცირებებს, უწყებათა ლიკვიდაციებსა და გაერთიანებებს გავითვალისწინებით, ეს არგუმენტი საკმაოდ საფუძვლიანია.

და მაინც, რამიშვილი მიიჩნევს, რომ ერთის მხრივ მოსამართლეებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აქვთ, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელიც მსაჯული ხდება. მისი აზრით, მაშინ როცა მსაჯულები იშლებიან საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე და განმეორებით სავარაუდოდ, რამდენიმე წელი მაინც არ მოუწევთ ხელახლე ამ ვალდებულების შესრულება, მოსამართლეები

¹⁴ რ'მალი, კრისტი „უდანაშაულო მანამ, სანამ უზენაესი სასამართლო გაამტყუნებს: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მიმოხილვა რუსეთში“, დემოკრატიზაცია, ტომი 14, ნომერი 1, გვ. 42-58, 2006
¹⁵ რუსი მსაჯულები, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, 10-დან 20-ჯერ უფრო მეტად მიმტკეველნი არიან ვიდრე მოსამართლეები. მაშინ როცა რუსული სასამართლოები ბრალდებულთა 1 პროცენტზე ნაკლებს ამართლებენ, მსაჯულების მიერ გამართლების დონე 15-20 პროცენტია. იხ. ზემოთ, გვ.44



სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში არიან. ისინი ხანგრძლივი ვადით არიან დანიშნულნი და მათი პასუხისმგებლობის დაყენება უფრო გაადვილდება, თუ მათ მიერ გამოტანილი განაჩენის თაობაზე კითხვები გაჩნდა. ამასთან, მოსამართლეების მცირერიცხოვანი, რჩეული ჯგუფის წევრობა შესაძლოა მადისციპლინირებელი ფაქტორიც იყოს, რასთან ჯგუფი თავის წევრებს მაღალ პროფესიულ და მორალურ სტანდარტებს უყენებს.

მეორე არგუმენტი კი რიცხვებს უკავშირდება. ნაფიც მსაჯულთა ყიური 12 პირისგან შედგება, ბრალდებულის ბედს კი მოსამართლე ინდივიდუალურად წყვეტს. მცდელობისას უკანონო ზეგავლენის მოხდენა გაცილებით უფრო ადვილია ერთი ადამიანის შემთხვევაში, ვიდრე თორმეტის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯული კორუმპირებულია, მას მთელი კოლეგიის მოსაზრების შეცვლა ნაკლებად შეუძლია. პირიქით, სხვა უფრო მაღალი მორალური სტანდარტების მქონე ნაფიც მსაჯულებს მისი გავლენის გაბათილება ადვილად შეუძლიათ. ამას გარდა, როგორც რამიშვილი აღნიშნავს, ჰეტეროგენული (მრავალფეროვანი) ჯგუფები, როგორც წესი, უფრო ობიექტურ გადაწყვეტილებებს იღებენ. სხვადასხვა წარსულისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე 12 პირს მართლაც, შესაძლოა, უფრო მრავალმხრივი შეხედულება ჰქონდეს, ვიდრე სპეციფიური საგანმანათლებლო და სოციალური პირობების მქონე მოსამართლეს.

და მაინც, გვენეტაძის აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციონალიზაციის პირველ წლებში მაინც, ასეთი სახის სასამართლოზე მოთხოვნა უმნიშვნელო იქნება. გვენეტაძის განცხადებით, სასამართლო ხელისუფლების არასახარბიელო იმიჯის მიუხედავად, უფრო მეტი ბრალდებული მაინც პროფესიონალი მოსამართლის მიერ ჩატარებულ პროცესს ამჯობინებს საექვო კვალიფიკაციების მქონე რიგითი მოქალაქეებისგან შემდგარ სასამართლოს. გვენეტაძის ვარაუდის სანდოობა საქართველოში ჯერ ვერ გადამოწმდება. ამ შემთხვევაში, ისევ კარგ მაგალითად შეიძლება რუსეთის გამოცდილება გამოდგეს. რუსეთის უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, წლიურად ბრალდებულთა საშუალოდ 20% ითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება. რეალურად ეს მაჩვენებელი 60%-ს აღწევს ზოგიერთ რეგიონში, სადაც გადატვირთული სასამართლო სისტემის გამო ბრალდებულები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეკრებას თვეების განმავლობაში ელოდებიან.¹⁶

საქართველოში აღნიშნული სისტემის შემოღების ერთ-ერთი საწინააღმდეგო არგუმენტი ქვეყნის სპეციფიკას უკავშირდება. ზოგიერთი ქვეყნის მასშტაბზე მიუთითებს და ამტკიცებს, რომ მცირერიცხოვანი მოსახლეობა და პირადი ლოიალურობის ძლიერი ტრადიცია (მეგობრებისა და ნათესავების ფართო წრე) მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების მოძებნას პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ტერიტორიული იურისდიქცია კი, მათი აზრით, მდგომარეობას ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო გაართულებს. თუმცა ამ მოსაზრების კონტრ-არგუმენტად შოტლანდიის მაგალითი მოჰყავთ, რომელიც ამტკიცებს, რომ მსგავსი ზომისა და კლანისა და თემის ერთგულების ძლიერი ტრადიციის მიუხედავად შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სისტემის ეფექტური გამოყენება.

კიდევ ერთი საწინააღმდეგო არგუმენტი ქვეყანაში ინფორმაციის, მათ შორის მოწმეთა, დაცვის პროგრამების ეფექტური სისტემების არარსებობაა. ამ არგუმენტის მიხედვით, ნაფიცი მსაჯულები შესაძლოა შურისძიების ობიექტები გახდნენ, თუ მათ არაპოპულარული ან არასასურველი ვერდიქტი მიიღეს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მხარდამჭერები ზემოთხამოთვლილ არგუმენტებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. პირველ ყოვლისა, ტერიტორიული იურისდიქციის პრინციპის გათვალისწინებით, მიუკერძოებლობის პრობლემა შესაძლოა ყველგან წარმოიშვას, რადგან ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებული თემი მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. მცირერიცხოვანი თემი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ ყოფილა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. რისკის და დაცვის არგუმენტს უპირისპირებენ იმ ფაქტს, რომ განსაკუთრებული დაცვით არც მოსამართლეები სარგებლობენ. თუ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის ან სხვა პირის მიმართ მუქარა გამოითქვა, პოლიცია ყველა შემთხვევაში ერთნაირ ზომებს იღებს. ამას გარდა, კოდექსის წარმოდგენილ პროექტში კიდევ ერთი შესაძლებლობაცაა გათვალისწინებული.

¹⁶ იხ. გვ 44



თუ შესაძლო საფრთხეები თავიდანვეა ნათელი, საქმე ნაფიცო მსაჯულების სასამართლოს ნაცვლად ჩვეულებრივმა სასამართლომ შეიძლება მოისმინოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ნაფიცო მსაჯულების მიერ განსახილველთა კვალიფიკაციას აკმაყოფილებდეს. ამიტომ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მხარდამჭერები ირწმუნებიან, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებისათვის რაიმე ძირეული და გადაუჭრელი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს.

სამომავლო საკითხები

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში კოდექსის პროექტის დასრულებული ვარიანტი დევს, დოკუმენტში რამდენიმე საკითხი არ არის შესული. ჯერ არ არის განსაზღვრული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის სფერო. სავარაუდოდ, საცდელ ეტაპზე ნაფიცმა მსაჯულებმა წამების და კორუფციის საქმეები უნდა განიხილონ. თუმცა, ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ საპარლამენტო განხილვების დროს იქნება მიღებული.

მეორე, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ტერიტორიული იურიდიულობის საკითხი. თავდაპირველად არსებობდა წინადადება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მხოლოდ რამდენიმე ქალაქში ან რეგიონში შემოეღოთ, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს. გეოგრაფიული მდებარეობის საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ეწინააღმდეგება კანონის თანასწორად ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლებას, რაც კონსტიტუციით არის გარანტირებული. სწორედ ეს მოხდა რუსეთში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავდაპირველად 89 რეგიონიდან მხოლოდ 9 რეგიონში შემოიღეს და მხოლოდ მოგვიანებით, სასამართლოებში სარჩელების შეტანის შემდეგ, დაამკვიდრეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში მსგავსი სიტუაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა დასაწყისისათვის ნაფიც მსაჯულთა ორი რეგიონული (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომცველი) სასამართლოს ჩამოყალიბება და მოგვიანებით მათი ქალაქებისა და ოლქების დონეზე შემოღება შეიძლება იყოს.

არსებული წინააღმდეგობებისა და საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სისტემის აუცილებლობისა და სარგებლობის შესახებ კონსენსუსის არარსებობის მიუხედავად, ამ ინიციატივის დადებით მხარეებზე ერთიანი აზრი არსებობს. პარლამენტში წარმოდგენილ პროექტს საფუძველად მართლად საუკეთესო პრაქტიკა უდევს და ითვალისწინებს სხვა სისტემებში, კერძოდ კი რუსულ სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს. ალბათ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რუსეთისგან განსხვავებით საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამართლებელი ვერდიქტი არავითარ შემთხვევაში არ ექვემდებარება გასაჩივრებას ან კასაციას. ამ ერთი შეხედვით მარტივი პრინციპის დაცვა გარკვეული გამოცდა იქნება იმის საჩვენებლად, თუ რამდენად არის საქართველოს მთავრობა მოწადინებული მართლმსაჯულების სისტემის რეალური რეფორმისათვის. და მაინც, ახალი სისტემის დაუბრკოლებლად შემოღებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. მათ შორის მნიშვნელოვანია კარგად დაგეგმილი საზოგადოებრივი განათლების კამპანია. აუცილებელია პოტენციური ნაფიცო მსაჯულებისათვის მომავალი მოვალეობების გაცნობა და როგორც მოსამართლეების, ისე ადვოკატების გადამზადება ახალი სისტემის მოთხოვნების შესაბამისად. ახალი კანონით დადგენილი პროცედურები და წესები დეტალურად და მკაცრად უნდა იყოს დაცული იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულთა ახალმა სისტემამ სასამართლოსა და სახელმწიფოს მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობა აღადგინოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ ანგარიშის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის ბატონებს: ოთარ კახიძეს (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), ბატონ ირაკლი კოტეტიშვილს (საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციის უფროსი), ბატონ ვიორგი ჯოხაძეს (ფონდი „ლია საზოგადოება-საქართველო“), ბატონ ზაქარია ქუცნაშვილს („სამართალი ხალხისათვის“), ბატონ ვიორგი მელაძეს (თავისუფლების ინსტიტუტი), ბატონ ლევან რამიშვილს (თავისუფლების ინსტიტუტი) ბატონ მეთიუ რეგერს (ჩ 1), ბატონ ლევან ბეჟაშვილს (საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის



თავმჯდომარე) ბატონ გიგა ბოკერიას (საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი), და ქალბატონ ნინო გვენეტაძეს.